საქმე № 010332221900140572

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №სსდ-05-21 **17 დეკემბერი 2021 წელი**
ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა
შემადგენლობა:

თავმჯდომარე: ზურაბ ძლიერიშვილი (მომხსენებელი)
მოსამართლეები: მირანდა ერემაძე
ალექსანდრე წულაძე

სხდომის მდივანი - მ. დ.

საჩივრის ავტორი - ადვოკატი ს. შ.

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, წარმომადგენელი - თ. ხ.

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2021 წლის 21 მაისის #093/19 გადაწყვეტილება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2021 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით, მოქალაქე ზ. ც.-ის საჩივრის საფუძველზე, დადგინდა

ადვოკატ ს. შ.-ს მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა და ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვრა გაფრთხილება, რასაც საფუძვლად დაედო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორის განცხადებით, 2015 წლის ივლისის თვეში, ზ. ც.-მ რ. კ.-თან ერთად საკალმახე მეურნეობის შექმნის მიზნით, დააფუძნა შპს „ა.“, რომლის დირექტორი და ასევე 10% წილის მფლობელი გახდა ზ. ც., ხოლო 90% წილის მფლობელი იყო მეორე პარტნიორი - რ. კ.. ზ. ც.-მ - როგორც ფიზიკურმა პირმა, შ. ტ.-სგან, რომლის რწმუნებულიც იყო რ. კ., მეურნეობის საწარმოებლად საკუთარი სახსრებით შეიძინა ახმეტის რაიონის სოფელ შახვეტილაში მდებარე სხვადასხვა ფართობების 18 მიწის ნაკვეთი 100 000 ლარად.

მომჩივანის თქმით, საკალმახე მეურნეობის მომგებიანად წარმართვისთვის დამატებითი ინვესტიციები იყო საჭირო, რის შესახებაც ინფორმირებული იყო მეორე პარტნიორიც, თუმცა მან შეაჩერა კომპანიის დაფინანსება, რის გამოც წარმოება ზარალდებოდა.

2018 წლის შემოდგომაზე რ. კ.-ის დედამ ლ. კ.მ, ბ. და დ. ჩ.-ებთან ერთად დააფუძნა ახალი კომპანია - შპს „ზ.“, რომლის მიზანიც ბიზნესსაქმიანობის გაუმჯობესება იყო. მოლაპარაკების შედეგად, ზ. ც. დაინიშნა შპს „ზ.“-ს დირექტორად, თუმცა ის არ წარმოადგენდა აღნიშნული შპს-ს მეწილეს.

საჩივრის ავტორის განმარტებით, 2019 წლის 05 მარტს, ქ.ფოთში შეხვდა ლ. კ.-ს, რომელმაც უთხრა, რომ ბიზნესის გაფართოება და ინვესტირების პროცესი უკვე იწყებოდა, რასაც ჭირდებოდა „გარკვეული პროცედურების შესრულება“ და „საქმეს რომ არ მოცდენოდა“ მინდობილობა გაეფორმებინა ადვოკატისთვის - ს. შ.-სთვის.

საჩივრის ავტორის განცხადებით, ის დათანხმდა ლ. კ.-ს შემოთავაზებას, რადგან მიიჩნია, რომ ადვოკატის ჩართულობით მოგვარდებოდა იურიდიული საკითხები და გაუმჯობესდებოდა სამეწარმეო საქმიანობა. შესაბამისად, ზ. ც.-მ 2019 წლის 05 მარტს ადვოკატ ს. შ.-ს სახელზე გასცა ერთი მინდობილობა, როგორც შპს „ზ.“-ს დირექტორმა, ხოლო მეორე მინდობილობა - როგორც ფიზიკურმა პირმა. ამის შემდეგ, საჩივრის ავტორი და ადვოკატი ს. შ. წავიდნენ ფოთში მდებარე საჯარო რეესტრში, სადაც ადვოკატმა შეავსო „რაღაც განაცხადი“, რომლის ჩვენებაც მოსთხოვა ზ. ც.-მ, თუმცა ადვოკატმა არ გააცნო.

აღნიშნულის შემდეგ, საჩივრის ავტორი დაეჭვდა ადვოკატის ქმედებაში, საჯარო რეესტრში გადაამოწმა შპს „ზ.“-ს შესახებ ინფორმაცია და მისი, როგორც ზ. ც.-ის საკუთრებაში არსებული ქონების შესახებ მონაცემები. გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ საჩივრის ავტორის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების შპს „ზ.“-ს სახელზე გადაფორმება ხდებოდა. ზ. ც.-ის განცხადებით, ადვოკატმა ს. შ.-მ მასთან შეუთანხმებლად, 2019 წლის 05 მარტს შეადგინა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, სადაც მიუთითა, რომ ნასყიდობის ფასი - 100 000 ლარი თითქოს სრულად იყო გადახდილი. ხელშეკრულებაში მითითებული იყო, რომ ადვოკატმა ს. შ.-მ, როგორც შპს „ზ.“-ს დირექტორის - ზ. ც.-ის წარმომადგენელმა გადაიხადა აღნიშნული თანხა და როგორც ფიზიკური პირის და ქონების მესაკუთრის - ზ. ც.-ის წარმომადგენელმა მიიღო ნასყიდობის საფასური.

ზემოაღნიშნული ფაქტის აღმოჩენისთანავე, ზ. ც.-მ 2019 წლის 10 მარტს გააუქმა ადვოკატ ს. შ.-ს სახელზე გაცემული ორივე მინდობილობა. ასევე, მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა მიწის ნაკვეთების გასხვისების პროცესის შეჩერება. საჩივრის ავტორის განცხადებით, მასსა და პარტნიორებს შორის ურთიერთობა დაიძაბა, იგი გადააყენეს შპს „ა.“-ს დირექტორობიდან, უკანონოდ დაისაკუთრეს შექმნილი მეურნეობა და 4 ტონა თევზი. ისინი დღემდე ეწევიან უკანონო სამეწარმეო საქმიანობას და ახდენენ შპს „ა.“-ს კუთვნილი თევზის რეალიზაციას.

მომჩივანმა განმარტა, რომ ვითარების შესახებ მან აცნობა ახლობელ ადვოკატს - ზ. ფ.-ს, რომელიც დაუკავშირდა ადვოკატ ს. შ.-ს. ადვოკატმა ითხოვა რამდენიმე დღე გაურკვევლობის მოსაგვარებლად და ზ. ფ.-ს სთხოვა, რომ არ მიემართა საგამოძიებო ორგანოსთვის, თუმცა, გაურკვევლობის გამოსწორების ნაცვლად, ყოფილმა პარტნიორებმა რამდენიმე დღეში დაიწყეს მომჩივანის წინააღმდეგ მოქმედებები. კერძოდ, მიმართეს სასამართლოს სარჩელით, რის საფუძველზეც დაყადაღდა ზ. ც.-ის ქონება. ასევე მის წინააღმდეგ მიმართეს საგამოძიებო ორგანოს, თითქოს ზ. ც.-მ მიითვისა 100 000 ლარი. საჩივრის ავტორის განცხადებით, თავადაც მიმართა პროკურატურას ბიზნესპარტნიორების წინააღმდეგ.

მომჩივანი მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნულ პერიოდში ადვოკატ ს. შ.-ს არც ერთხელ არ ჰქონია მასთან სატელეფონო კომუნიკაცია. ადვოკატს მხოლოდ ერთხელ აქვს გაგზავნილი სატელეფონო შეტყობინება - „საჯარო რეესტრში წარსადგენი კოდი“ იმ მიზნით, რომ დარეგისტრირებულიყო როგორც შპს „ზ.“-ს დირექტორი.

ადვოკატის მიერ განხილვის კოლეგიის სხდომებზე გაკეთებული განმარტების თანახმად, 2018 წელს მასთან საადვოკატო ბიუროში მისულმა ლ. კ.-ამ სთხოვა იურიდიული მომსახურების გაწევა შპს „ზ.“-ს რეგისტრაციასთან დაკავშირებით. ლ. კ.-ამ ადვოკატს განუცხადა, რომ ვინაიდან ის საზღვარგარეთ მიემგზავრებოდა, შპს „ზ.“-ს დირექტორად სურდა დანიშნულიყო მისი ახლო მეგობარი - ზ. ც.. ამასთან, ადვოკატს ლ. კ.-ამ სთხოვა კომპანიის წესდების შედგენა, რის შემდგომაც კომუნიკაცია უშუალოდ შპს-ს დირექტორთან - ზ. ც.-სთან უნდა ჰქონოდა.

ადვოკატი ტელეფონის მეშვეობით დაუკავშირდა ზ. ც.-ს, რომელიც იმყოფებოდა კახეთში და ადვოკატ ს. შ.-ს ჩართულობით, დისტანციური სანოტარო მოქმედებების საფუძველზე ზ. ც. დაინიშნა შპს „ზ.“-ს დირექტორად. ადვოკატის განმარტებით, ზ. ც.-ისთვის აღნიშნული იურიდიული მომსახურება ერთჯერად სახეს ატარებდა და ის არ იყო საჩივრის ავტორის ადვოკატი.

ს. შ. ადასტურებს, რომ მისი სატელეფონო ნომრიდან, რომლითაც წლების განმავლობაში სარგებლობს, არ განუხორციელებია ზარი ზ. ც.-სთან, თუმცა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე ზ. ც.-ს ლ. კ.-ას მობილური ტელეფონის მეშვეობით დაუკავშირდა და მიაწოდა ინფორმაცია, მათ შორის იმის თაობაზე, რომ დამატებითი საკითხები შეეძლო იუსტიციის სახლში მისვლით გაერკვია, აგრეთვე, ლ. კ.-ა შეძლებდა მის პირად ანგარიშზე ნასყიდობის ღირებულების თანხის ჩარიცხვას, თუმცა ზ. ც.-მ განუმარტა, რომ თავად სურდა ლ. კ.-ას ნახვა და ფოთში ჩასვლა.

ადვოკატის განცხადებით, ზოგადად, მისი საადვოკატო პრაქტიკიდან გამომდინარე, მინდობილობასთან დაკავშირებით, ნოტარიუსთან არ მიყვება თავის

კლიენტებს, რადგან მინდობილობა ცალმხირივი გარიგებაა, მაგრამ მას დაუკავშირდა ლ. კ.-ა და უთხრა, რომ შპს „ზ.“-ს სურდა ზ. ც.-ისგან შეეძინა მიწის ნაკვეთები, ის ზ. ც.-სთან ერთად კახეთიდან მიდიოდა ფოთში (სადაც იმყოფებოდა ადვოკატი) და სთხოვა, რომ სანოტარო ბიუროში მისულიყო, რიგი დაეკავებინა და ისინიც მივიდნენ. მხარეებს სურდათ 18 უძრავ ქონებაზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება. ნოტარიუსმა გამოთვალა სანოტარო მოქმედების საფასური და ვინაიდან გარიგება ეხებოდა 18 უძრავ ქონებას - აღნიშნული უფრო დიდ ხარჯს უკავშირდებოდა, ვიდრე ხელშეკრულების საჯარო რეესტრში გაფორმება. შესაბამისად, ზ. ც.-მ გასცა მის სახელზე ორი მინდობილობა.

ზ. ც. უშუალოდ გაეცნო ორივე მინდობილობის ტექსტს, რომლებსაც გასცემდა ადვოკატ ს. შ.-ს სახელზე და ასევე, ადვოკატმა განუმარტა ის სამართლებრივი შედეგები, რაც აღნიშნულ რწმუნებულებათა გაცემას უკავშირდებოდა.

მინდობილობების გაფორმების შემდეგ, ერთობლივად წავიდნენ ფოთის იუსტიციის სახლში ნასყიდობის ხელშეკრულების გასაფორმებლად, სადაც „სპონტანურად გაფორმდა ხელშეკრულებები“. ადვოკატის განცხადებით, ზ. ც.-მ განუმარტა, რომ ვინაიდან ნამგზავრი და დაღლილი იყო, მას დაესრულებინა ხელშეკრულების გაფორმება. ადვოკატის განმარტებით, ზ. ც. ინფორმირებული იყო რა მიზნით იმყოფებოდა საჯარო რეესტრში, მათ შორის, რა სახის ხელშეკრულება ფორმდებოდა.

ადვოკატს იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება ზ. ც.-სთან არ გაუფორმებია და არც ჰონორარი მიუღია მისგან. ასევე არ შეუთავაზებია მისი ინტერესები ხელშეკრულების გაფორმების დროს სხვა ადვოკატს წარმოედგინა, რადგან მხარეთა შორის მეგობრული ურთიერთობა იყო და ინტერესთა კონფლიქტის არსებობის საფუძველი არ არსებობდა. ადვოკატის განცხადებით, მას შემდეგ, რაც მხარეთა შორის წარმოიშვა კონფლიქტი, ის აღარ უწევს იურიდიულ მომსახურებას არც ერთ მხარეს.

ს. შ.-ს განცხადებით, ზ. ც.-ს ზიანი არ მიდგომია, რადგან მინდობილობათა გაუქმების შედეგად შეწყდა უძრავ ქონებათა გადაფორმების პროცედურა საჯარო რეესტრში და ქონება დღემდე ზ. ც.-ის სახელზეა რეგისტრირებული.

განხილვის კოლეგიის სხდომაზე მოწმის სახით დაიკითხა ასევე ნოტარიუსი ი. ტ, რომელმაც განმარტა, რომ მუშაობს ნოტარიუსად ქალაქ ფოთში. 2019 წლის 05 მარტს, მას სანოტარო ბიუროში მიმართეს ზ. ც.-მ, ადვოკატმა ს. შ.-მ და „კ.-ამ“, რომლის სახელი ზუსტად არ ახსოვს. მათ სურდათ უძრავ ქონებაზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება. ზ. ც.-ს „კ.-ასთვის უნდა გადაეფორმებინა მიწის ნაკვეთები“, თუმცა აღნიშნული მოქმედებების სანოტარო წესით განხორციელება დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული - დაახლოებით 2000 ლარის ფარგლებში. შესაბამისად, ადვოკატ ს. შ.-ს სახელზე ზ. ც.-მ, როგორც ფიზიკურმა პირმა და როგორც შპს „ზ.“-ს დირექტორმა გასცა ორი მინდობილობა, რის საფუძველზეც საჯარო რეესტრში გაფორმდებოდა გარიგება, რაც ნაკლებ ხარჯთან იყო დაკავშირებული. აღნიშნულზე გადაწყვეტილება ზ. ც.-მ თავად მიიღო, ამასთან, მინდობილობები უშუალოდ მას გადაეცა.

მოწმის განცხადებით, მოგვიანებით მას დაუკავშირდა ზ. ც.- და განუცხადა, რომ ს. შ.-ს სახელზე გაფორმებული მინდობილობების გაუქმება სურდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2021 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე #093/19 დადგინდა ადვოკატ ს. შ.-ს /სიითი #2215/1/ მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა და ს. შ.-ს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვრა **გაფრთხილება** შემდეგ გარემოებათა გამო:

განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

საჩივრის ავტორმა ზ. ც.-მ ადვოკატ ს. შ.-ს სახელზე გასცა ორი მინდობილობა ერთი წლის ვადით - ერთი როგორც შპს „ზ.“-ს დირექტორმა, რის საფუძველზეც ადვოკატს მიანიჭა უფლებამოსილება შპს „ზ.“-ს სახელით „ნებისმიერი პირისაგან შეეძინა ნებისმიერი უძრავი ქონება, სადაც არ უნდა მდებარეობდეს და რისგანაც არ უნდა შედგებოდეს. განსაზღვროს თანხა, ვადა, გადახდის პირობები და ხელშეკრულების სხვა პირობები თავისი შეხედულებისამებრ“, ხოლო ზ. ც.-ის, როგორც ფიზიკური პირის მიერ გაცემულ მინდობილობაში მითითებულია, რომ ს. შ.-ს ეძლევა უფლება „მართოს, განკარგოს ახმეტის რაიონ სოფ. შახვეტილაში მდებარე ზ. ც.-ის კუთვნილი ნებისმიერი უძრავი ქონება მთლიანად“.

2019 წლის 05 მარტს გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება სოფელ შახვეტილაში მდებარე 18 მიწის ნაკვეთზე. ხელშეკრულების ორი მხარის სახელით (გამყიდველი, მყიდველი) ხელს აწერს ადვოკატი ს. შ.. ხელშეკრულებაში მითითებულია ნასყიდობის ფასი - 100 000 ლარი.

საჩივრის ავტორმა 2019 წლის 10 მარტს გააუქმა ადვოკატ ს. შ.-ს სახელზე ამავე წლის 05 მარტს გაცემული მინდობილობები.

ხელშეკრულებაში (05.03.2019) მითითებულ მიწის ნაკვეთებზე უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების რეგისტრაციის შესახებ განაცხადი საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შეწყდა ზ. ც.-ის მოთხოვნის საფუძველზე და მიწის ნაკვეთები დღემდე წარმოადგენს ზ. ც.-ის საკუთრებას.

ეთიკის კომისიამ მიუთითა, რომ მხარეებს შორის სადავოა, ინფორმირებული იყო თუ არა 18 მიწის ნაკვეთზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე ზ. ც., კერძოდ, საჩივრის ავტორის გამოხატული ნების საფუძველზე დარეგისტრირდა თუ არა ზემოაღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულებები საჯარო რეესტრში.

კომისიამ დადგენილად მიიჩნია, რომ საჩივრის ავტორის მიერ ადვოკატის სახელზე როგორც შპს-ს დირექტორის მიერ და აგრეთვე, როგორც ფიზიკური პირის მიერ გაცემულ მინდობილობათა საფუძველზე, ადვოკატმა ზ. ც.-ის სახელით გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულებები, თუმცა საქმეში არ არის სარწმუნო მტკიცებულება, რითაც დადგინდებოდა, რომ ადვოკატის მოქმედება (ნასყიდობის ხელშეკრულებების გაფორმება და შემდგომ მისი საჯარო რეესტრში დარეგისტრირება) გამოხატავდა ზ. ც.-ის ნებას. კომისიამ მიუთითა, რომ სადავოა აგრეთვე ხელშეკრულებაში მითითებული ნასყიდობის საგნის საფასური, რომლის მიღებასაც მომჩივანი არ ადასტურებს, ხოლო ადვოკატი განმარტავს, რომ მისთვის უცნობია ზ. ც.-ს ვინ გადასცა ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია, რომ ადვოკატ ს. შ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

განხილვის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატი ს. შ. ერთსა და იმავე საქმეზე საადვოკატო მომსახურებას უწევდა როგორც შპს „ზ.“-ს პარტნიორს - ლ. კ.-ას, ასევე, ამავე კომპანიის დირექტორს - ზ. ც.-ს. მათ შორის ადვოკატი წარმოადგენდა საჩივრის ავტორის, როგორც უძრავი ქონების გამყიდველის ინტერესებს და მეორეს მხრივ შპს „ზ.“-ს (შემძენის) ინტერესებს. შესაბამისად, ადვოკატის მხრიდან დარღვეულია ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების ვალდებულება - „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლები 8.1, 8.2, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები 6.1, 6.2.

ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ მითითებულია მათ პრაქტიკაზე, რომლის თანახმადაც „კლიენტის ინტერესებს შორის კონფლიქტი არსებობს, თუ ადვოკატის მიერ ერთ-ერთი კლიენტისთვის მიცემული რჩევა ან განხორციელებული წარმომადგენლობა ზიანს აყენებს სხვა კლიენტის ინტერესს“. ასევე „ინტერესთა კონფლიქტი არის ადვოკატის დამოუკიდებლობის დაკარგვის კერძო შემთხვევა, როდესაც ხდება სხვადასხვა ინტერესების დაპირისპირება, რომელიც ხელს უშლის კლიენტის ერთგულად მომსახურებას, ან არსებობს სხვა არსებული ან ყოფილი კლიენტების მიმართ ვალდებულებების დარღვევის საფრთხე“.

ადვოკატის მიერ შპს „ზ.“-ს საქმიანობასთან დაკავშირებით ერთდროულად, როგორც კომპანიის პარტნიორის, ასევე კომპანიის დირექტორისათვის საადვოკატო მომსახურების განხორციელება, კლიენტების ინტერესთა კონფლიქტის საფრთხეს ქმნიდა.

განხილვის კოლეგიამ მიუთითა, რომ ხელშეკრულების მხარეთა მიერ მიღებული ინფორმირებული თანხმობის მიუხედავად, ერთდროულად, როგორც გამყიდველის, ასევე შემძენის ინტერესების წარმოდგენა არის დაუშვებელი ინტერესთა კონფლიქტი.

ეთიკის კომისიის შეფასებით, დადგინდა ადვოკატ ს. შ.-ს მიერ კლიენტის ინფორმირების და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ეთიკური ვალდებულებების დარღვევა.

განხილვის კოლეგიამ მიუთითა, რომ მხოლოდ მინდობილობათა არსებობა არ არის საკმარისი იმის დასადასტურებლად, კონკრეტულად რას მოიცავდა საადვოკატო მომსახურება, კერძოდ, კლიენტის სახელით ისეთი მნიშვნელოვანი მოქმედება, როგორც მისი უძრავი ქონების გაყიდვაა, უნდა იყოს შეთანხმებული კლიენტთან. როგორც მხარეთა პოზიციებით ირკვევა, მათ შორის არ გაფორმებულა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც გაირკვეოდა, მოიცავდა თუ არა იურიდიული მომსახურება ზემოაღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებას. კოლეგიამ ასევე მიუთითა, რომ საქმეში არსებული მოწმის პოზიცია არ არის საკმარისი მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, გამოხატავდა თუ არა ადვოკატი ს. შ. ზოსმე ც.-ის - როგორც მისი კლიენტის ნებას ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას.

მითითებული გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა ადვოკატმა ს. შ.-მ, რომელმაც მოითხოვა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2021 წლის 21 მაისის #093/19 გადაწყვეტილების გაუქმება.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილება არის უკანონო და არსებობს მისი გაუქმების წინაპირობები. არსებობს ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც არ გაითვალისწინა ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილების მიღების დროს. მაგ. მოწმის სახით მოწვეული, ქ. ფოთის ნოტარიუსის - ი. ტ.-ის ჩვენება, რომელმაც დაადასტურა, რომ შპს-ს დამფუძნებლებს და ზ. ც.-ს, რომლებიც მივიდნენ მასთან სანოტარო ბიუროში, სურდათ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება, მაგრამ ხელშეკრულების გაფორმება ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ მისი ნოტარიულად დამოწმება საკმაოდ დიდ თანხასთან იყო დაკავშირებული (გამოდიოდა დაახლოებით 2 000 ლარი). შესაბამისად, ვინაიდან მხარეთა შორის იყო მეგობრული ურთიერთობა, მათ უარი თქვეს ნოტარიუსის მიერ ხელშეკრულებების შედგენაზე, გადაწყვიტეს, რომ მიენიჭებინათ შესაბამისი უფლებამოსილება ს. შ.-სთვის და მისი ჩართულობით მომხდარიყო ნასყიდობის ხელშეკრულების შედგენა საჯარო რეესტრში - გამარტივებული წესით. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ნოტარიუსმა შეადგინა მინდობილობის ტექსტი, ხმამაღლა წაუკითხა ზ. ც.-ს, შემდეგ ც.-მ თავად მოითხოვა იგივე ტექსტის წაკითხვა, რის შემდეგაც მოაწერა ხელი. მინდობილობის საფასური გადაიხადა თავად და ინფორმირებული იყო რას მოაწერა ხელი. მან გასცა ორი მინდობილობა, ერთი - როგორც ფიზიკურმა პირმა, ხოლო მეორე, როგორც შპს-ს დირექტორმა. შ.-ს მიანიჭა უფლებამოსილება, რომ მისი, როგორც ფიზიკური პირის სახელით გაეყიდა უძრავი ქონება და შეეძინა იგივე უძრავი ქონება შპს-ს დირექტორის სახელით.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ ისინი ერთად გადავიდნენ იუსტიციის სახლში, რა დროსაც ზ. ც.-მ უთხრა, რომ ვინაიდან იყო ნამგზავრი და გადაღლილი, მის მაგიერ შეედგინა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებები. ს. შ.-მ შეასრულა თხოვნა და ასევე ზ. ც.-ის კარნახით მოხდა ნასყიდობის ხელშეკრულების ფასის მითითება.

ადვოკატი ს. შ. მიუთითებს, რომ კანონსაწინააღმდეგო არაფერი ჩაუდენია, მისი მხრიდან ეთიკის სტანდარტების დარღვევას ადგილი არ ჰქონია, განახორციელა ის უფლებამოსილება, რაც მინდობილობის თანახმად ჰქონდა მინიჭებული და რაც ასევე გამოხატავდა მხარეთა ნებას. მხარეთა შორის არ ყოფილა უთანხმოება და ინტერესთა კონფლიქტი. აღნიშნულის დასადასტურებლად ასევე მიუთითებს ფაქტზე, რომ მხარემ გადაიხადა ნასყიდობის ხელშეკრულებების საფასური სტანდარტული, ოთხდღიანი მომსახურებისთვის და არა დაჩქარებული წესით. თუმცა, მოგვიანებით, როდესაც ზ. ც.-ის განცხადების საფუძველზე მოხდა ნასყიდობის ხელშეკრულებების რეგისტრაციის შეჩერება და აღნიშნულის გარკვევის მიზნით ადვოკატს დაურეკა მოქალაქე ჩ.მა, ს. შ.-ს განცხადებით მან ივარაუდა, რომ მხარეებს შორის წარმოიშვა ინტერესთა კონფლიქტი, რის გამოც შემდგომ კონსულტაციაზე და დახმარებაზე უარი განუცხადა.

ადვოკატი აღნიშნავს, რომ ის არ იყო ორივე მხარის წარმომადგენელი და არ ახორციელებდა პროფესიულ საქმიანობას ერთსა და იმავე საქმეზე, შესაბამისად არ გაფორმებულა მომსახურების ხელშეკრულება და არც ჰონორარი მიუღია. ადვოკატი ასევე კატეგორიულად უარყოფს ურთიერთობის დასაწყისში მხარეთა შორის ინტერესთა კონფლიქტის არსებობას. რაც შეეხება მინდობილობას - ნოტარიუსისგან

ჰქონდა ინფორმაცია, რომ მის მიერ მინდობილობებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელება დარღვევას არ წარმოადგენდა.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ის როგორც ადვოკატი არ წარმოადგენდა ფიზიკურ პირ ზ. ც.-ს და იყო მისი წარმომადგენელი - როგორც ფიზიკური პირი.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელმა სადისციპლინო პალატის სხდომაზე მოითხოვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, დაუსაბუთებლობისა და უსაფუძვლობის გამო.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ადვოკატ ს. შ.-ს საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2021 წლის 21 მაისის #093/19 გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[59] მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სადისციპლინო პალატა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებას ამოწმებს საჩივრის ფარგლებში, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი და დაკისრებული სახდელის სამართლიანობის თვალსაზრისით.

დისციპლინური საქმის მასალები გამოკვლეულია ყოველმხრივ და ობიექტურად და დავა გადაწყვეტილია არსებითად სწორად. სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ ადვოკატ ს. შ.-ს მიერ დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსისა და „ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის ნორმები, რის შესაბამისადაც, ადვოკატის ქმედებებს მართებულად მიეცა დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაცია და ადვოკატს კანონიერი და სამართლიანი სახდელი დაეკისრა. ამდენად, არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების საპროცესო-სამართლებრივი წინაპირობა.

ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი ითვალისწინებს ადვოკატის მიმართ დისციპლინური სახდელის სახეებს, რომელთა შორის არის გაფრთხილება. ამავე კანონის 32-ე მუხლის თანახმად, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის.

სადისციპლინო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით

დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, მათ სამართლებრივ დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ ადვოკატმა ს. შ.-მ უგულებელყო როგორც „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1 ნაწილი, რომლის თანახმადაც ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას და მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი - ადვოკატს უფლება არა აქვს შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, თუ იმავე საქმეზე უკვე განახორციელა საადვოკატო საქმიანობა მეორე მხარის სასარგებლოდ; ასევე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 6.1 და 6.2 მუხლები - ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე. ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევებშიც, როდესაც: ა) ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგოა ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე. ბ) კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან.

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ საჩივრის ავტორმა ზ. ც.-მ ადვოკატ ს. შ.-ს სახელზე გასცა ორი მინდობილობა ერთი წლის ვადით - ერთი როგორც შპს „ზ.“-ს დირექტორმა, რის საფუძველზეც ადვოკატს მიანიჭა უფლებამოსილება შპს „ზ.“-ს სახელით „ნებისმიერი პირისაგან შეეძინა ნებისმიერი უძრავი ქონება, სადაც არ უნდა მდებარეობდეს და რისგანაც არ უნდა შედგებოდეს. განსაზღვროს თანხა, ვადა, გადახდის პირობები და ხელშეკრულების სხვა პირობები თავისი შეხედულებისამებრ“, ხოლო მეორე - როგორც ფიზიკურმა პირმა. აღნიშნულ მინდობილობაში მითითებულია, რომ ს. შ.-ს ეძლევა უფლება „მართოს, განკარგოს ახმეტის რაიონ სოფ. შახვეტილაში მდებარე ზ. ც.-ის კუთვნილი ნებისმიერი უძრავი ქონება მთლიანად“.

2019 წლის 05 მარტს გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება სოფელ შახვეტილაში მდებარე 18 მიწის ნაკვეთზე. ხელშეკრულების ორი მხარის სახელით (გამყიდველი, მყიდველი) ხელს აწერს ადვოკატი ს. შ.. ხელშეკრულებაში მითითებულია ნასყიდობის ფასი - 100 000 ლარი.

საჩივრის ავტორმა 2019 წლის 10 მარტს გააუქმა ადვოკატ ს. შ.-ს სახელზე ამავე წლის 05 მარტს გაცემული მინდობილობები.

ხელშეკრულებაში (05.03.2019) მითითებულ მიწის ნაკვეთებზე უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების რეგისტრაციის შესახებ განაცხადი საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შეწყდა ზ. ც.-ის მოთხოვნის საფუძველზე და მიწის ნაკვეთები დღემდე წარმოადგენს ზ. ც.-ის საკუთრებას.

სადისციპლინო პალატა ეთანხმება და იზიარებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მსჯელობას, რომ საქმეში არ არის სარწმუნო მტკიცებულება, რითაც დადგინდებოდა, რომ ადვოკატის მოქმედება - ნასყიდობის

ხელშეკრულებების გაფორმება და შემდგომ მისი საჯარო რეესტრში დარეგისტრირება - გამოხატავდა ზ. ც.-ის ნებას.

სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ ინტერესთა კონფლიქტის განსაზღვრისას, ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მას გააჩნია კლიენტისადმი ერთგულების, მისი ინტერესების პრიორიტეტულობის, კონფიდენციალობის, დამოუკიდებლობისა და კვალიფიციური წარმომადგენლობის ეთიკური ვალდებულება. შესაბამისად, როდესაც ადვოკატის აღნიშნული ეთიკური ვალდებულებები ერთი კლიენტის მიმართ უპირისპირდება ადვოკატის ვალდებულებებს სხვა კლიენტის მიმართ, წარმოიქმნება კონფლიქტი. (იხ. დამატებით: იურიდიული ეთიკა, თბილისი, 2021, გვ.183).

სადისციპლინო პალატა მიუთითებს, რომ არ შეიძლება ადვოკატი ერთდროულად, ერთ საქმეში ორი მხარის ინტერესს წარმოადგენდეს. აღნიშნულმა ფაქტმა საქმიანობის პროცესში გარკვეული საფრთხე შექმნა ინტერესთა კონფლიქტის არსებობისა, შესაბამისად, ადვოკატმა უფრო მეტი წინდახედულების სტანდარტი უნდა დაიცვას საადვოკატო უფლებამოსილების განხორციელების დროს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ს. შ.-ს მანამდეც ჰქონდა კომპანიასთან გარკვეული ურთიერთობა როგორც ადვოკატს და მისი ჩართულობით გარკვეული მოქმედებები იქნა განხორციელებული, შესაბამისად, მიუხედავად საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების არარსებობისა, კომპანიის დირექტორი ზ. ც. აღიქვამდა მას როგორც ადვოკატს და ჰქონდა რწმენა, რომ მინდობილობა გასცა არა ფიზიკურ პირ ს. შ.-ზე, არამედ ადვოკატზე, რომელიც ეხმარებოდა კომპანიას ფინანსური სირთულეების დაძლევაში და შესაბამისი მოქმედებების განხორციელებაში.

სადისციპლინო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაციას ადვოკატისათვის დაკისრებული დისციპლინური სახდელის სახედ – **გაფრთხილების** მართებულობას და განმარტავს, რომ საქმის განმხილველი ორგანო დისციპლინური სახდელის შერჩევისას უნდა ითვალისწინებდეს დისციპლინური გადაცდომის შინაარსს და სიმძიმეს, შედეგებს, რომლებიც მას მოჰყვა ან შეიძლებოდა მოჰყოლოდა, ბრალის ხარისხსა და ადვოკატის პიროვნებას, საქმიან და მორალური რეპუტაციას, ასევე ადვოკატის დამოკიდებულებას - რამდენად აცნობიერებს მის მიერ განხორციელებული ქმედების შესაძლო შეუსაბამობას ეთიკის სტანდარტებთან - რაც სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ გათვალისწინებულ იქნა სრულიად სამართლიანად. სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ დაკისრებული სახდელი ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომების შესაბამისია.

ამდენად, სადისციპლინო პალატა თვლის, რომ არ არსებობს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2021 წლის 21 მაისის #093/19 გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. შესაბამისად, საჩივრის ავტორის - ს. შ.-ს მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“

საქართველოს კანონის 75[61] მუხლით, 75[62] მუხლით, 75[63] მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 75[64] მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ადვოკატ ს. შ.-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2021 წლის 21 მაისის #093/19 გადაწყვეტილება;
3. გადაწყვეტილების ასლები გაეგზავნოთ მხარეებს;
4. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე **/ზურაბ ძლიერიშვილი/**

მოსამართლეები: **/მირანდა ერემაძე/**

/ალექსანდრე წულაძე/